

გორში ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთის მოედანი გაიხსნა

11 ივლისი 2019

გორში, უნივერსიტეტის მიმდებარედ, ზაზა ფაჩულიას სახელობის გალფის საკალათბურთო მოედანი გაიხსნა, რომელიც კომპანია გალფის და გორის მუნიციპალიტეტის ერთობლივი პროექტია. სპორტული მოედანი საერთაშორისო საკალათბურთო სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს და აღჭურვილია უმაღლესი ხარისხის თანამედროვე საფარით.

„ამიერიდან გორში ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო მოედანი გვექნება. ღონისძიების მთავარი კულმინაცია სწორედ ზაზას გორში ჩამოსვლა იყო, რითაც განსაკუთრებით გაახარა ადგილობრივი ახალგაზრდა სპორტსმენები და გულშემოტკივრები. თბილისის შემდეგ გორი მეორე ქალაქია, სადაც საკალათბურთო მოედანი შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის, გორის მუნიციპალიტეტის მერიის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და კომპანია „გალფის“ ერთობლივი ჩართულობით აშენდა. სპორტული მოედანი საერთაშორისო საკალათბურთო სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს და აღჭურვილია უმაღლესი ხარისხის თანამედროვე საფარით. ეს სწორედ იმის ნათელი მაგალითია, რომ სამთავრობო და კერძო სექტორმა წარმატებით ითანამშრომლა, რასაც მომავალშიც აუცილებლად გავაგრძელებთ. განსაკუთრებით მინიშვნელოვანია, რომ თანამშრომლობა ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიმართულებით შედგა. მართალია მოედანზე მცირე სამუშაოები კიდევ არის დარჩენილი, რაც მალე დასრულდება, თუმცა ვისარგებლეთ ზაზას საქართველოში ყოფნით და ამერიკაში დაბრუნებამდე ერთობლივად მოვიწახულოთ.“ - აღნიშნა შიდა ქართლის რწმუნებულმა.